ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

# განკარგულება № 249

„1“ ოქტომბერი 2020 წ

ქ. თბილისი

## ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი №7/1, კორპუსი №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.12.003.072) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე 16 მუხლის მე 2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 61 ე მუხლის მე 2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის $118^1$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი №7/1, კორპუს №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.12.003.072) მდებარე, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 9 სექტემბრის №20.1021.1278 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი №7/1, კორპუს №1-ში, მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.12.003.072) ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

დანართი №1

ქ.თბილისი, გამზირი მოსკოვი, №7/1, კორპუსი 1

| № | სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ფართი | საკადასტრო კოდი |
|---|---|---|---|---|
| 1 | იოსებ ოთინაშვილი | 01030042487 | 114.73 კვ.მ | 01.17.12.003.072.01.021 |
| 2 | ლელა წულაია | 29001005359 | 38.10 კვ.მ | 01.17.12.003.072.01.025 |

დანართი №1

ქ.თბილისი, გამზირი მოსკოვი, №7/1, კორპუსი 1

| № | სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ფართი | საკადასტრო კოდი |
|---|---|---|---|---|
| 1 | იოსებ ოთინაშვილი | 01030042487 | 114.73 კვ.მ | 01.17.12.003.072.01.021 |
| 2 | ლელა წულაია | 29001005359 | 38.10 კვ.მ | 01.17.12.003.072.01.025 |